სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

ინდ. მეწარმე თემურ ხომასურიძის

ს.კ. 18001025343

ზესტაფონი, ს. ზაქარიაძის №24 ა, ბ-14.

# განცხადება

ქ. ზესტაფონში, ს. ზაქარიაძის №27-ში, იჯარით აღებულ ფართში, განთავსებულია მეორადი შესაფუთი მასალის გადამამუშავებელი საწარმო, რომელიც ფუნქციონირებს 2015 წლიდან, ხოლო მის ექსპლუატაციას 2021 წლიდან ვახორციელებ მე – ი.მ. თეიმურაზ ხომასურიძე. "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის 4-ე მუხლის, პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტის შესაბამისად ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა წარმოადგენს ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას.

საქართველოს კანონის "გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს 47-ე მუხლის შესაბამისად, ეკოლოგიურ ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობები, რომელთა განხორციელებაც დაიწყო 2018 წლის 1 იანვრამდე და რომელთაც არა აქვთ გარემოზე ზემოქმედების ნებართვა ან მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება, საჭიროებს მიმდინარე საქმიანობის შესახებ გაგრძელების გადაწყვეტილების მიღებას, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-827 ბრძანებით (11.10.2018. წ.) დამტკიცებული "ეკოლოგიური აუდიტის შედგენისა და მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი"-ს შესაბამისად, დამუშავდა ზემოხსენებული საწარმოს ეკოლოგიური აუდიტის ანგარიში.

განსახილველად წარმოგიდგენთ ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშს, გთხოვთ მიიღოთ გადაწყვეტილება საქმიანობის გაგრძელების შესახებ.

პატივისცემით,

ინდ. მეწარმე თ. ხომასურიძე

25.12.2023 წ.

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
«29» 12 2023წ.
№ 12974